წელიწადი პირველი

ერი

შაბათი თებერვლის 19 1921 წ.

ფასი 30 მან.

რედაქცია და კანტორა:
ქუთაისი, თბილისის ქუჩ, [illegible] რედაქცია ღიაა დილის 9 [illegible] ვის $2^1/_2$ საათამდის. კანტორა ღიაა დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდის. და საღამოს 5 საათიდან 7 საათამდის. მისამართი წერილებისა და კორესპოდენციებისათვის! ქუთაისი, ფოსტის ყუთი № 80.

დეპეშებისათვის—ქუთაისი ერი. ტელეფონი № 32
წერილები დაწერილი უნდა იყოს ერთ გვერდზე და სუფთად. ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. რედაქციისათვის საჭიროა წერილის ავტორის ვინაობა და მისამართი. დაუბეჭდავ წერილების შესახებ რედაქცია მიწერ მოწერას არ კისრულობს.

№ 3 საქართველოს დემოკრატიული პარტიის ქუთაისის სამაზრო კომიტეტის ორგანო. № 3

განცხადებანი:
განცხადება მიიღება ნაშუადღევის 2 საათამდის. სტრიქონი პეტიტი პირველ გვერდზე 25 მან. მე-4-ე გვერდზე 20 მან. სამგლოვიარო განცხადებანი 30 სტრიქონი 1000 მან. 12 საათის შემდეგ 1200 მან.

ხელის მოწერა:
გაზეთი „ე რ ი“ ქალაქსა და ქალაქს გარეთ ღირს თვეში 700 მან. ცალკე № 30 მ.

1921 წ. თებერვლის 17-დან ქუთაისში გამოდის ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

═══ ე რ ი ═══

მამულიშვილნო!

სამშობლო განსაცდელშია.

აღმოსავლეთის ველური ურდოები კვლავ მოადგენ საქართველოს.

19 თებერვალს 1921 წელს

ყოფილი საზოგადო საკრებულოს დარბაზში ქუთაისის მუშათა პროფესიონალურ კავშირების და სახალხო უნივერსიტეტის სასარგებლოთ გაიმართება დიდი საღამო

„ბალ-მასკარადი“

პრიზებით

სხვადასხვა გასართობებით და ვახშმით.

დიასახლისები: მ. ლორთქიფანიძისა. ს. ქავთარაძისა ლ. შენგელაიშვილი-გეგეჭკორისა. ელ ბახტაძის.

3—1

ომის მიმდინარეობა.

ახლანდელი ომი ჩვეულებრივ არ დაწყებულა, არც სომხეთსა და არც აძერბეიჯანს ფორმალური განცხადება წინასწარ არ მოუხდენია. საზღვრებზე შეტაკება იყო და ეს შეტაკება ომათ გადიქცა.

ჩვენის აზრით ომობს რუსეთის ბოლშევიკები, რომელნიც აძერბეიჯანისა და სომხეთის შემოხაზულებაში იმყოფება და ადგილობრივ ბოლშევიკებთან შეერთებით მთავრობაც ბოლშევიკურ გზაზე დააყენეს.

რუსეთის ბოლშევიკური მთავრობა, რომელიც დღეს მოსკოვში ლენინის მეთაურობით მოქმედობს, ოფიციალურათ რა დამოკიდებულობაშია ამიერ კავკასიაში მყოფ რესპუბლიკის ბოლშევიკებთან-ეს არ ვიცით. ნამცხადევათ ლენინი უარს ამბობს ჩვენთან ომის წარმოებაზე, მაგრამ ჩუმათ რა გეგმა აქვს ვინ იცის.

ლენინის მთავრობის წარმომადგენლები თბილისში ჩვენი მთავრობისაგან უკვე დატყვევებულნი არიან — ეს ნიშანია მისი, რომ ჩვენ მათთან დიპლომატიურ კავშირსა ვსწყვეტავთ და თუ ლენინის განცხადება მართალია და ის ჩვენ არ გვეომება ახლა გამოირკვევა.

თუ დამტკიცდა, რომ მოსკოვს ბაქო-ერევანთან კავშირი არა აქვს, მაშინ ომი უფრო ადვილია და საქმე სულ მალე გადაწყდება და ჩვენი პოზიცია სავსებით საიმედოა.

სომხეთ-აძერბეიჯანი ჩვენ ვერ მოგვერევა, პირიქით თავის ქვეყანას ჩვენ გადმოგვცემს ნადავლათ და დაღვრილი სისხლის ასანაზღაურებლათ.

თუ ლენინი ჩუმათ მოქმედობს და ბაქო ერევანს მოეშველა — მაშინ საქმე გართულდება და საჭირო იქნება სხვისი დახმარება.

ამასაც ჩვენი დიპლომატია მოაწყობს, რადგან ბოლშევიზმის დამარცხებაში ევროპა ჩვენი მომხრეა და აქ პოლიტიკური გეზი გვაერთებს.

ომის მიმდინარეობაზე დიდი გავლენა ექნება და თითქმის არსებითად შეიცვლება საქმე ანგორის რეს პუბლიკის ძალით. თუ ანგორა—გარეშე დარჩა, ნეიტრალური პოზიცია დაიკავა, ჩვენთვის სჯობია და თუ მტერს მიემხრო მდგომარეობა გაგვირთულდება. შესაძლებელია ანგორის რესპუბლიკამ ისარგებლოს შემთხვევით და თვითონ ჩაერიოს ომში და შეუტიოს აძერბეიჯანს და მიზნათ ბაქოში შესვლა დაისახოს.

ეს თუ იქნა ჩვენი მდგომარეობა ძლიერ გაუმჯობესდება და მაშინ ჩვენი გამარჯვება უზრუნველყოფილია.

სულ ცოტა ხანში გამოირკვევა ვის რა დამოკიდებულება აქვს ჩვენთან და ვინ როგორ პოზიციას დაადგება, მანამდი ჩვენ გვმართებს **მაგრად, მედგრათ, შეურყევლათ და გულადათ** პოზიციაზე დგომა და სისხლით საზღვრის დაცვა.

გვმართებს სიმხნევე და სიმამაცე, არა ვართ სუსტი არც ჯარით, არც იარაღით. მოვიკრიბოთ ძალები და ეჭვს გარეშეა თავსაც გამოვიჩენთ და ქვეყანასაც შევირჩენთ.

ასეთი მომენტი სასარგებლოა. ეს მომენტი ასწევს ჩვენს ძლიერებას და ჩვენი ისტორიის ახალი ხანის საძირკველს საფუძვლიანათ დასდგამს.

ეს ომი განამტკიცებს ჩვენს პოლიტიკურ და ზნეობრივ ღირსებას.

ომი და ომი, რადგან ეს მოგვანიჭებს მშვიდობას.

ტრ. ჯაფარიძე.

სამშობლოს დაცვისათვის.

არ გასულა ერთი თვე, ევროპამ რაც საქართველოს დამოუკიდებლობა იურიდიულად იცნო, რომ მტერი თავს დაგვესხა.

საქართველომ თავისი გმირობით და შრომის მოყვარე შვილების ბრძოლითა და შრომით გარეთ მტერი მოიგერია და შინ მშვიდობიანი სამოქალაქო ცხოვრება განახორციელა.

და ევროპასა და საქართველოს შორის ხიდი გაიდვა.

უკვე დაიწყო საალებ-მიცემო და სამრეწველო ურთიერთობის კავშირის ხანა, რომელიც ჩვენი სამშობლოს ბრწყინვალე მომავლის ფუძეა.

ჩვენი ფულის კურსის დაცემის საკითხი მეტად ადვილად გამოსასწორებელი შეიქნა.

საქართველო სიღატაკის მეუფიდან სიმდიდრის, სიუხვის მეუფებაში გადადის.

და ევროპასთან კავშირი ფუძეა არა მარტო ეკონომიური წარმატების, არამედ კულტურისა და განათლებისაც.

მაგრამ ჩვენმა მეზობლებმა ჩვენთან კავშირი უარჰყვეს.

აძერბეიჯანს ჩვენთან კავშირი ბათუმის პორტს გაუხსნიდა, ჩვენთვის კი საჭირო იყო აძერბეიჯანის ნავთი და მაზუთი და სავაჭრო გზა ბაქოს გზით შუა აზიისა და რუსეთისაკენ.

სომხეთისათვის საქართველოს კავშირი კიდევ უფრო აუცილებელი იყო. ჩვენთვის ხომ გზა სომხეთზე სპარსეთისაკენ — აუცილებელია.

მაგრამ ხსენებულმა სახელმწიფოებმა თავისუფალ კავშირს ჩვენი ძალით დამორჩილება არჩიეს.

ტლანქი, უხეში, ველური ძალა შემოიჭრა, რომ განათლებულ ქვეყნიერებას მოგვწყვიტოს და ბარბაროსობის უკუნეთში ჩაგვაგდოს.

მაგრამ ქართველს არასოდეს არ აკლდა არც გულადობა და არც სახელმწიფოებრივი ნიჭი და უარესი კრიზისებიდანაც კი გამოდიოდა გამარჯვებული.

საქართველოს მაშინაც კი შესწევდა ძალა დაეცვა თავისი დამოუკიდებლობა, როდესაც მტრების ვიწრო რკალში იყო მოქცეული.

დღეს კი საუკეთესო პირობები გვიწყობს ხელს. ევროპასა და ჩვენს შორის გზა ხსნილია და ევროპიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოქალაქენო! დაიცავით წესიერება!

ეროვნული ბიბლიოთეკა

დახმარების მიღება—სურსათით, ტანსაცმ ით, იარაღითა და სხ.—გაადვილებულია.

ამბავი მოვიდა, რომ ოსმალეთის მეორე მთავრობამ—ანგორამ რუსეთის ბოლშევიკებს ომი გამოუცხადა და ჯარები დასძრა ბაქოსაკენ.

ჩვენი ჯარის სიმამაცემ მტერი გააქცია. მტერი გარბის და ჩვენი ჯარი უკან მისდევს.

ანგორის ჯარებთან შეთანხმებული მოქმედება უზრუნველჰყოფს ბაქოს განთავისუფლებას რუსეთის ხელიდან.

უეჭველია, ანგორა ევროპასთან შეთანხმებით მოქმედობს.

ევროპას სწადია თავისუფალი გზა ბაქოსკენ, რომელიც არის გზაჯვარედინი აზიის აღმოსავლეთისა და დასავლეთისა და რუსეთის.

ერთი სიტყვით, ყველაფერი ხელს გვიწყობს და წინდაწინვე შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჩვენი საქმე მოგებულია.

მაგრამ, ჩვენი მოგების ნაყოფი რომ სხვამ არ გამოგვაცალოს ხელიდან, დიდი ძალა უნდა შევკრიბოთ.

სუსტი თუ ვიქნებით, არავინ ანგარიშს არ გაგვიწევს და, აძერბეიჯანისა და სომხეთის ბოლშევიკებს რომ დავამარცხებთ, სხვა ძალა გადაგვთელავს.

დიახ, ძლიერი სამხედრო ძალა გვჭირდება. უიმისოდ სამშობლოს დაცვა გაგვიჭირდება.

იმავე დროს ნუ დაგვავიწყდება, რომ რუსეთის საბჭოთა დიდი ძალები წამოვლენ ჩვენ წინააღმდეგ.

და ისინი მოვლენ იმ განზრახვით, რომ ამოგვხოცონ, პატივი აგვყარონ და გაგვცარცვონ.

მაშ, ყოველი ქართველი, ვისაც თოფის ხელში დაჭერა შეუძლია ჯარში უნდა ჩაეწეროს.

ვისაც ფული აქვს, თავისი ქონების დიდი ნაწილი თავდაცვის ფონდს უნდა შესწიროს.

საზოგადოდ, ყველამ უნდა შემოიტანოს სამშობლოს დაცვის საქმეში თავისი წვლილი.

დღეს—ეროვნული ბრძოლაა, ერის სიკვდილ-სიცოცხლის საკითხია გადასაწყვეტი.

დღეს ყველა პარტია უნდა გაერთიანდეს და სამშობლოს დაცვის პარტიად უნდა გადიქცეს.

დღეს ყოველივე შინაური დავა უნდა მოისპოს და მთელი ხალხი ერთს ეროვნულ მებრძოლ ორგანიზმად უნდა გაერთიანდეს და შენაწევრდეს.

მხოლოდ ამ პირობით მოიპოვებს საქართველო საერთაშორისო წონას.

მაშ ხმალი წუმპაკებს!.

ვასილ წერეთელი.

დეპეშები.

საქართველოს დეპეშათა სააგენტო.

შინაგან საქმეთა მინისტრი ნ. რამიშვილი ატყობინებს ქალაქის გამგეობას, ვინაიდან ფრონტზე ჩვენი მდგომარეობა საგრძნობლად გაუმჯობესდა, ამიტომ მთავრობა თფილისიდან ქუთაისში აღარ გადმოვა.

— —

— საღამოს 8 საათზე ქუთაისის შტაბის თავმჯდომარეს ვალიკო ჯუღელმა ტელეფონით აცნობა: ეხლა დავბრუნდი ფრონტიდან! მდგომარეობა ჩვენ სასარგებლოთ გაუმჯობესდა. ყველანი ყოჩაღათ არიან. თქვენ მოგვაწოდეთ ახალი ძალები და გამარჯვება აუცილებლათ ჩვენი იქნება. მოსალოდნელია ანგორამ ულტიმატუმი წაუყენოს ბოლშევიკებს.

— —

— ერობათა და ქალაქთა კავშირის მოწოდება.

ერობათა, ქალაქთა და კოოპერატივთა კავშირმა მოწოდებით მიმართა ერობებს, ქალაქებსა და კოოპერატივებს რათა მთელი თავის ძალღონე მოახმარონ ფრონტის საქმეს.

— —

— რაჭიდან და ლეჩხუმიდან ქუთაისის გვარდიის შტაბს ატყობინებენ, რომ იქ შედგა თავდაცვის კომიტეტები და მობილიზაციას ყველა სიამოვნებით ეგებება.

— —

დღეს დილით თბილისიდან გვაცნობეს: ანგორის მთავრობამ ბოლშევიკებს ომი გამოუცხადა. ჯარები დაინძრა. ჩვენი ჯარები შეტევაზე გადავიდენ.

— —

საქართველოს დემოკრატიული პარტიის ქუთაისის სამაზრო კომიტეტმა წინადადება მისცა თავის ყველა ორგანიზაციებს საწრაფოთ შეადგინონ მოხალისეთა რაზმები—უუთაისში რაზმი უკვე შედგა.

ალექსანდროპოლში მდგომი ქემალის ჯარები ბაქოსაკენ მიიწევენ. ბოლშევიკებმა ჩვენ საზღვარზე ცხენოსანი ჯარი მოხსნა და გაგზავნა მათ წინააღმდეგ.

ჩვენებმა გუშინ ფართო სახით დაიწყეს შეტევა.

— —

საქართველოს დემოკრატიული პარტია ატყობინებს დასავლეთ საქართველოს ორგანიზაციებს, რათა შეადგინონ მოხალისეთა რაზმები და გამოგზავნონ ქუთაისში სამაზრო კომიტეტთან.

— —

მამულიშვილნო!

სამშობლო შველას ითხოვს. მოგიწოდებთ ჩაეწეროთ საქართველოს დემოკრატიულ პარტიის მოხალისეთა რაზმში ჩაწერა ხწარმოებს მუდამ დღითაც და ღამით სამაზრო კომიტეტის ბიუროში მორიგ წევრთან.

—

საქართველოს დემოკრატიული პარტიის ქუთაისის სამაზრო კომიტეტი თხოვს თანამოაზრე სამხედრო პირთ გამოცხადდენ პარტიის ბიუროში.

ახალი ამბები.

გვარდიელის ჩამოსვენება. გუშინ დილით ჩამოასვენეს ფრონტზე მოკლული ლეჩხუმელი გვარდიელი ილია ჭანკვეტაძე, რომელიც მოკლეს ვარანცოვკაში აჯანყების დროს. მიცვალებული გამოასვენეს სადგურიდან მუსიკით და საპატიო ყარაულით. გაზეთ „ეროს“ რედაქციასთან შეაჩერეს. აქ სიტყვა წარმოსთქვა რაზმის აფიცერმა ნიკ. ნაკაშიძემ და რედაქციის სახელით ილ. ჟღენტმა.

მისაბაძი მაგალითი. ძმ. საკაშვილებს აქვთ დამზადებული დიდძალი ქვანახშირი მათ მთელი თავისი ქონება შეალიეს გელათში ქვანახშირის ძებნას, მაღაროების კეთებას და გზათა და ხიდის გაყვანას. კერძო პირები ამ ნახშირში მათ აძლევენ 560 მანეთს ფუთში, დღეს ვინაიდან სახაზინო რკინის გზას არ ყოფნის ტყიბულის ქვანახშირი, ძმები საკაშვილები უარს აცხადებენ კერძო პირებზე ნახშირის გაყიდვაზე და უთმობენ რკინის გზას ფუთს ასს მანეთად, ვინაიდან დღეს ამას ითხოვს სამშობლო.

დეპეში მთავრობას. ხუთშაბათის მიტინგზე გამოტანილ რეზოლუციის გამო თავმჯდომარე ანტონ მეფისაშვილმა შემდეგი დეპეში გაუგზავნა მთავრობის თავმჯდომარეს.

თფილისი

მთავრობის თავმჯდომარეს.

ქუთაისის მოქალაქეთა მრავალრიცხოვანმა კრებამ გაითვალისწინა რა მომენტი აღფრთოვანებით დაადგინა მოახმინოს მთელი თავისი ძალების ყოველ მხრივი მობილიზაცია მუხანათ მტერის შესამუსრავათ და მოხსენდეს მთავრობას რომ ყველანი მზათ არიან თავი დასდონ სამშობლოსათვის. უხვად გროვდება ფული და სანოვაგე, იწერებიან მოხალისენი.

ჩვენი რაზმი—უკვე შედგა საქართველოს დემოკრატიული პარტიის მოხალისეთა რაზმი ქუთაისში. მას ხელმძღვანელობენ გამოცდილი სამხედრო პირები. რაზმმა გუშინ სიმღერით ჩამოიარა მთავარი ქუჩები. ხალხი მათ აღტაცებით ეგებებოდა და ტაშის ცემითა და „ვაშას“ ძახილით აჯილდოებდა.

გაზეთები.—გუშინ თბილისიდან გაზეთები არ მოსულა.

გაქურდვა—თებერვლის 12-ს ორპირის ქუჩაზე გაქურდეს მოვაჭრესაბა ბაბუხადია. მას მოპარეს დაახლოვებით 300,000 მან. საქონელი.

ჩრდილო კავკასიის აჯანყება კვრძო ცნობით ჩრდილო.-კავკასიაში აჯანყებაა, რომლის მიზანია ბაქო როსტოვს დაუშორონ.

ცვლილება—ვინაიდან მდგომარეობა ჩვენს სასარგებლოთ შეიცვალა, მოსალოდნელია რომ ქუთაისში სასწავლებლებში მაკადინობა განახლდეს.

ტელეფონზე ლაპარაკის აღრძალვა. შექმნილ მდგომარეობისა გამო საქალაქთაშორისო ტელეფონზე სარგებლობა შეუძლიათ მხოლოდ სამხედრო პირთ შტაბის ნებართვით.

მოხალისეები.—სოფლებიდან ქუთაისში მრავლად ჩამოდიან მოხალისეები და ეწერებიან რაზმებში.

ბავშის პოვნა. თებერვლის 15-ს ლევაშოვის ქუჩაზე სიმონ ლოსაბგრიძემ იპოვა ძუძუ-მწოვარა ბავში,

ერთხელ კიდევ!....

ერთხელ კიდევ შეიძრა საქართველო!

ერთხლ კიდევ ატოკდა ქართველის გული:

შეიარიღდა ქართლ-კახეთი.. ახმაურდა გურია სამეგრელო, აფხაზეთი, რაჭა-იმერეთი.

ხმა მისცა მთამ: ელვის სისწრაფით ჩვენს წინ გაჩნდა ფშავ აევსურეთი, მესხეთ ჭანეთი ლეჩხუმ-სვანეთი და თიანეთი...

ამეტყველდა თავისუფალი ქვეყანა, თავისუფალი ერი!...

ქართველმა, ერთხელ კიდევ ხმალს ხელი იკრა და ვაჟკაცურად, მამაცურად დასძახა:

— აღსდეგ გმირო გმირო! ნუ გძინავს, მტერთა ისმიან ხმსნიაო!...

და ერთ წუთას, როგორც ერთი კაცი მთელი საქართველო, იარაღში ჩამჯდარი ერთგულ დარაჯათ თავის საყვარელ დედა ქვეყანას, გარს შემოერტყა საომრად დაირაზმა!.

— მერე? მტერი? მტერი სადღაა? ან ვინ არიან ჩვენი მტრები?

ოსმალები, ლეკები, თუ სპარსელები?.

— არც ერთნი და არ მეორენი.

— მაშ, ვინ არიან? ვის შურს ჩვენი ბედნიერება? ვის ეხარბება ჩვენი ტკბილი ცხოვრება, აღფრთოვანებული თავისუფლება?.

— ღმერთო ჩემო!. თქმისაც კი მრცხვენია, გამხელაც კი მაშინებს, მაზრიალებს!

— ის, ვინც ჩვენს ოჯახში გამოკვებულა!

ის, ვისთვისაც ჩვენს ქვეყანას, თავისი გრძნობიერი თბილი გულ-მკერდი გადაუშლია და დედაშვილურის სიყვარულით დაალერსით, ოსმალთა დევნილნი, გულში ჩაუკრავს-გაუთბია.

ის, ვინც ჩვენს ზურგზე გასჯქებულია, გამდიდრებულა და დღეს ჩვენსავე მოსასპობლად შეიარაღებულა.

უმადური, უზრდელი და გაუტანელი სომეხი დღეს კიდევ გვაყენებს უსიამოვნებას, გვიორკეცებს ხარჯებს, შრომას და მწუხარებას!..

არღვევს ჩვენს მოსვენებას, ეჭრება ჩვენს აღმშენებლობითი სფეროში და აძით ლამობს ჩვენს, თავისუფლებიდ დამტკბარ, ბედნიერ ოჯახს, ომში უმანკოთ დაღვრილ სისხლით, სამგლოვიარო შავი ზეწარი გადააფაროს?! მაგრამ..... ვერასოდეს?....

— ვერასოდეს ვერ მოესწრება ამას.

თავისუფალ ქართველის გულში ჩამკვიდრებულია გამომწვარი, ომებში ნაცადი და ვაჟკაცური მამაპაპათა ძლიერი სული.

ის, დღეს უფრო აღფრთოვანებული თავის სამშობლოს თავისუფლებით მკაცრად ეკვეთება მტერს და ერთხელ კიდევ თვალწინ დაუყენებს ქართველ ისტორიულ გმირის განხორციელებას

იმ გმირისას, რომელმაც იცის მტერს ლახვარი სად დასცეს, თუ ამას სამშობლოს დაცვა-პატრონობა მოითხოვს, თუ ეს მისი ქვეყნისთვის საჭირო იქნება!..

ქართველის ხმალი ისე ქარქაში დან არ ამოვა, თუ იგი გამარჯვების შარვანდედით არ იქნება გამრწყინვალებული და მაშ, ძვირფასნო შვილნო, საქართველოს მეომარნო, იმედებით გაშუქებულნი წინ, წინ! ვაჟ-კაცურად, მამა პაპურად!

ჩვენ, თქვენი მშობლები მუდამ თქვენზე ვიფიქრებთ, თქვენზე ვიზრუნებთ, თავს შემოგევლებით.

მაშ, იმედი და ღრმა რწმენა მტრის შემუსვრაში იყოს თქვენი მრწამსი, თქვენი წინამძღოლი..

მშობლების ლოცვა კურთხევა გინათებდეს სახეს, ღია გულ-მკერდს.!.

მეც, მოხუცებული, მხურვალე სიყვარულით გილოცავთ გზას და უკვდავი მგოსნის სიტყვებით გაიმედებთ..

„არა, აყვავდეს იმედი;
გულის ვერ გამიტეხს ჭალარა.
გმირებს დაეძებს, ჭუყივის,
ჩემი დაფი და ნალარა“!..

თეოფ. ხუსკივაძე.

ᲔᲠᲘᲡ ᲡᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝᲡ ᲘᲓᲔᲐ.

ერის სული იბადება, ღრმავდება და ფართოვდება ერის ისტორიაში: თუ ერის ისტორია ფაქტებით, აზრებით და იდეალებით ღარიბია, თუ ერის მიწა-წყალი ბრძოლის სისხლით არ აფერადებულა, თუ ერის ორგანიზმს მოძრაობის ცეცხლი და ცხოვრების ტანჯვა არ უგრძვნია, ერის სული უშინაარსოა, ერის ნების ყოფა სუსტია და ეროვნული გონება სისტემას და ლოგიკას მოკლებულია; სულის სიღრმე და გონების სიდიადე დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად და რა სიჩქარით ხდება ადამიანში, ერში, ანუ კაცობრიობის ძარღვთა ცახცახი: ორგანიული წვა და ვნება.

სულის დღეობა მაშინ იწყება, როცა ხორცი ტანჯვაში იძირება: გულის ტკივილები და ხორცის ჭრილობანი ჰქმნის სულის სიდიადეს და გონების სიღრმეს.

ცხოვრების საშინელების, უკუღმართობის და ცვალებადობის შეგრძნობაში იწვრთნება და იჩალხება როგორც პერსონალური, ისე ეროვნული ინდივიდუალობა, როგორც ცალკე ადამიანის პიროვნება, ისე ეროვნული ისტორიის ფურცლებზე იბეჭდება ერის მოძრაობის, ტკივილების და განცდის ნაყოფი, ისტორიაში ინახება ერის საუკუნეთა სულიერი მღელვარება, იდეალები და გრძნობები: ისტორიის საუკეთესო ფურცლებს შეადგენს ერის ლიტერატურა; ერის სული ერის შემოქმედებაშია: ლიტერატურის გმირებს და სახეებს, საუკუნეთა ნანგრევებს, წარსულის აჩრდილებს ხშირად უფრო მეტი ძალა, გავლენა და უფლება აქვთ ცხოვრებაში, ვიდრე იურიდიულ ნორმებს და მორალურ სენტენციებს: პოლიტიკური თავისუფლების სულია ეროვნული კულტურა—ერის შემოქმედება: ვისაც უფლება უნდა, მას უნდა ჰქონდეს შინაარსი; ვისაც თავისუფლება უნდა, მას უნდა ჰქონდეს ინდივიდუალობა: პირუტყვები მოკლებულნი არიან თავისუფლებას და უფლებას, რადგან არ აქვთ ლოგიურად გარკვეული, იდეური შინაარსი და ინდივიდუალობა. მხეცებს არა აქვთ განმტკიცებული მორალური პრინციპი, არა აქვთ ცხოვრების გარანტია, არა აქვთ ცხოვრების შეგრძნობის და ინდივიდუალურ თვით გამიჯვნის ფსიხოლოგიური საშვალება და ამიტომაც ვერც ინდივიდუალობის ტრაგედიას გრძნობენ და ვერც თავისუფლების აუცილებლობას: განცდა არ გადადის შემოქმედებაში და სული ჰქრება ინდივიდუალობასთან ერთად.

სულ ხსვა არის ადამიანის და კაცობრიობის ცხოვრება: აქ განცდა

თვალყური ადევნეთ მოღალატეებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართველნო!

საქართველოს დემოკრატიული პარტიის სმხედრო შტაბში დაიწყო მოხალისეთა მიღება საგანგებო რაზმისათვის!

მიიღეთ მონაწილეობა სამშობლოს დაცვაში, ჩაეწერეთ რაზმებში.

საქართველოს!

გმირთა გმირო, დატრიალდი!
ახლა მაინც აღარ გძინავს,
ჩვენი მზე და ჩვენი მთვარე
დღე და ღამე ჩვენთვის ბრწყინავს?

რომ ბეუტავდა, მიმქრალიყო
და გაჩაღდა ჩვენი კერა,
აწი მაინც არ დავაქრობთ
და დავიცავთ მტრისგან, მჯერა.

ხელთ ავიღოთ ძველი ჩანგი,
შევეთანხმოთ წყობილ ხმითა,
მტრებსა გული გაუხეთქოთ,
ჩვენ კი გავიხაროთ ხსნითა.

სული ჩვენი ავამაღლოთ
აგვიყვავებს ძლევა მდელოს,
და შევყვიროთ ჩვენსა მტერებს:
„გაუმარჯოს საქართველოს!“

ი. ქავთარაძე.

გმირებს.

თქვენი მკლავ ძარღვის ჰირიმე
და თქვენი გულოვანების,
რომ ამიხდინეთ სიცხადით
ჩვენება სიზმართ-ზმანების!—

უკან ძაღლები მომდევდენ,
მჭლე-გამხდარ, ნაირ-ნაირი,
რუსს მიუგავდა ზოგს ცხვირი,
რაღა განვაგრძო შაირი!..

შემომიტიეს... ჰა, მომწვდენ...
ამ დროს გამოჩნდა მცველიცა,
დაირეკა და იფრინა
ახალიცა და ძველიცა!..

და განუახლდა გულს ლხენა,
ესოდენ დანაძვირები
რომ მკვდრეთით აღსდგენ შამქორზე
თამარის დროის გმირები.

დ. თომაშვილი.

ბამდი ამაღლდა და მომენტის სიდიადეს ღირსეულად აფასებს.

იგი არ ამცირებს მტრის ძალას, ხედავს მხოლოდ მის ზნეობრივს არარაობასა და სიკოტრეს და დინჯათ, შეგნებული და სწორი, ნაბიჯით მიდის მის წინააღმდეგ აბჯარ ასხმული.

მთელი განათლებული კაცობრიობა განცვიფრებული თანაგრძნობით შეჰყურებს პატარა რაინდ ერს, რომელიც ამ ტიტანიურ ბრძოლაში ძალით ჩაითრიეს! ერს, რომელმაც გარედან მომდგარი საფრთხის წინ შეგნებულად უკუაგდო ყოველ-დღიური საშინაო ვარამი; ერს, რომელიც საომარი საყვირის დაძახებაზე ხანდაუზმელად გამოდის მწყობრათ და შეერთებულად, ვით ერთად შეკრული კონა საომარის ისრებისა!..

ეჭვი არაა, რომ მოწინავე სახელმწიფონი მარტოოდენ მაყურებელი თანამგრძნობელის როლში ვერ დარჩებიან. ამის ნიშნები უკვე სჩანს.

ჩვენ კი შეეძნათ ძლიერი საშინაო ფრონტი, დავჭიმოთ ჩვენი ძალები. გავიღოთ მაქსიმუმი იმისა, რის გაღებაც შეგვიძლია და საყოველ-დღეო მცენებათ გავიხადოთ:

ყველაფერი ჩვენი სახელოვანი მხედრობისათვის!

ყველაფერი სამშობლოს დიდებისათვის!..

და ჩვენი გამარჯვებაც უზრუნველყოფილია.

ჭალარა.

პრესა.

„ერთობა“ სწერს:

ისტორია შეორდება, რესპუბლიკის საზღვრებს ნაცნობი მტერი მოადგა. ერევნის გაკომუნისტებული მთავრობა, ბაქოში მოკალათებული ავანტიურისტების აქტიური და მატერიალური დახმარებით დაადგა ძველ გზას. ამ სამი წლის განმავლობაში ერევნის მთავრობამ, მიუხედავათ მისი გარეგანი ცვლილებისა, გამოიჩინა სრული სიკოტრე თავის შინაურ და საგარეო პოლიტიკაში. გარდ ყველასთან მუდმივი ომი, შიგნით ძველი რეჟიმის ხელუხლებლობა— ასეთი იყო და არის მისი პროგრამმა. წარსულში ერევანს არ ქონია დემოკრატიული აღზრდა, რევოლიუციის დროს ის არ დასდგომია დემოკრატიულ გზას. ის ყოველთვის იყო იარაღი უცხოელების ხელში. დღევანდელი მთავრობა განაგრძობს ამ გზით სიარულს, ის უძახის ბაქოს კომუნისტებს და სურს მისი დახმარებით დაანგრიოს მეზობელი რესპუბლიკა. აქ ის ხელმძღვანელობს არა მისი არსებითი ინტერესებით, არამედ დაბალი ხარისხის შურით. ის ფიქრობს: მე არ ვარ, ნურც სხვა იქნებაო. ერევანი შეგნებულად ხდება ბაქოს იარაღად. ჩვენ ვიცით, რომ ბაქოს დღევანდელი ბატონ პატრონები არ არიან ადერბეიჯანის ხალხი, რომელიც ყოველთვის კეთილ განწყობილებაში იყო ქართველ ხალხთან. ბაქო იარაღია იმ გაბოროტებულ პირების, რომელთაც საქართველოს ღალატი თავის ხელობად გაუხდიათ.

საქართველოს ისტორიამ იცის

გადადის შემოქმედებაში და ყოველი წუთი ორგანიულ-ისტორიული განცდას ეტრფის, მარადისობას იწვევს ადამიანის გულში მარადისობის წყურვილს: იბადება სურვილი განმტკიცდეს ცხოვრების მარადიული ღირებულება, იბადება სურვილი ინდივიდუალობის წარმავალობა შემოქმედების ცეცხლით და ორთქლით იქმნას გადატანილი მარადისობაში: აქიდან იწყება ღმერთების, იდეალების, ოცნებების და ილლიუზიების გამოფენა ისტორიაში, აქიდან იწყება რელიგიურ-ესთეტიურ ნათ-საყუდელის ძებნა, ცხოვრების ტრაგედიის ძლევა, რევოლიუციების და რეფორმაციების იმედები; აქ იბადებიან გმირების სულები, აქ ჩნდებიან ცხოვრების რაინდები; დღე და ღამე, ქარიშხალი და ამაზე აქ იყრებიან; განდეგილები და ცხოვრების მოტრფიალენი აქიდან გადიან და აქ შემოდიან; აქ ისახება პერსონალური ბედნიერება, ეროვნული იდეალი, კაცობრიობის ილუზიები: არიმანები, ორმუზები, მანფრედები, ჰამლეტები, გამოხატავენ კაცობრიობის და ერების სულიერ მღელვარებას ცხოვრების მიზნების და იდეალების ძებნას. ამ ძიებაშია სწორედ კულტურის და ცივილიზაციის სიდიადე, ბრძოლის და შემოქმედების აზარმაცი: ამას ეყრდნობა ფსიხოლოგიურად როგორ ცერი, ისე კაცობრიობა, როგორც ცალკე ინდივიდუმი ისე კოლექტივი: ეს არის გამოფენა იმ იმედების, აზრების, მცნებების და იდეალების, რომლითაც თავს ინუგეშებს ადამიანი ცხოვრებაში. ეს არის მსოფლიო ისტორიის სული.

ერს, რომელსაც აქვს თავის კულტურა და ისტორია, მსოფლიო შემოქმედებაში ყოველთვის შეაქვს წვლილი ეროვნული გრძნობები, ფიქრები, აზრები და იდეალები. ეროვნული თავისუფლება ეროვნული და კულტურული შემოქმედების საკითხია; ერი იმდენად მიღებულია და ცნობილია მსოფლიო ისტორიაში, რამდენად დიადია და ძლიერია, რამდენად დრამაა და შინაარსიანია ეროვნული შემოქმედება.

ვისაც უნდა საქართველოს თავისუფლება, ის უნდა იყოს ქართველი განცდით და სულით, იგი უნდა განიცდიდეს საქართველოს მთლიანს ტიპიურს ორიგინალურს, საქართველოს ტარიელის ცრემლებით და რუსთაველ-ავთანდილის ჰანგებით აჟღერებულს, საქართველოს გმირების სისხლით აფერადებულს და გვემულთა ძველით მოკვნქილს, განდეგილის და მინდიას საქართველო.

რომელიც მიიყვანეს სამთო-უბნის კომისარიატში.

თავდაცვისათვის. თებერვლის 17-ს საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო ბანკში (კოლხიდბანკი) ვაჭარ-მრეწველთა კავშირის სახელზე თავდაცვის საჭიროებისათვის შემოვიდა ორი მილიონი მანეთი, ვაჭარ-მრეწველთა შორის აღფრთოვანება დიდია. ფულის მიღება გრძელდება.

ბოლშევიკთა შეპყრობა. თებერვლის 17-ს და გუშინ მილიციამ შეიპყრო ბოლშევიკები: არსენ გოგიაშვილი, გრამიტონ სვანიძე და მაქსიმე კვერნაძე. დატუსაღებულია აგრეთვე ბოლშევიკები პროვინციაში.

რაზმის დემონსტრაცია—გუშინ საქართველოს დემოკრატიული პარტიის საგანგებო რაზმის დემონსტრაცია მოხდა. რაზმმა მუსიკით და ეროვნული დროშით გაიარა ქალაქის უმთავრეს ქუჩებში და შეჩერდა პარტიის სანხედრო შტაბის წინ. მათ სიტყვებით მიმართეს **ტრ. ჯაფარიძემ** და **კ. კაპანელმა.** რაზმი შესაძლებელია დღეს საღამოს გაემგზავროს ფრონტზე.

საღღეისო.

ამხედრდა საქართველო. ირგვლივ გაისმის ყიჟინა. ომშიო გაიძახიან, მტერი მამულს შემოესია. სომეხ-რუსები მოიწევენ საქართველოზე. შინ, დანგრეულ ოჯახში არ ედგომებათ, მშიერ ტიტელებმა და გაბოროტებულებმა არ იციან რით იხსნან თავი. ერთმანეთი დაძარცვეს, აღარა აქვთ რა, რით უშველონ თავს; აგერ მდიდარი მეზობელი ქვეყანა საქართველო, სადაც შეიძლება ცოტათი დაისვენონ, გონს მოვიდენ, დაიჭირონ საქართველო, შეგვდგენ ზურგზე და სჭამონ ჩვენი მამული.

საქართველოს მონობა არა სჩვევია. ერთხელ თუ ჩაუვარდით რუსეთს ხელში, ეს მოგვვიდა შინაური მტრობით და განხეთქილებით; ვიგემეთ სიმწარე, მივხვდით ჩვენ სისუსტეს და ერთხმად შევძახეთ მჩაგვრელებს: „კმარა; გასწი იქით ბილწი ხელები“. ვიხსენით მამული. დღეს ისევ, როგორც ძველად, მძლავრად გაისმის ქართველი გულის ცემა; მამული განსაცდელშია, შველას ითხოვს, დავივიწყოთ ერთმანეთის აუგათ ხსენება, ერთად შეუტიოთ; მტერი ყველასათვის ერთია; მდიდარსა და ღარიბს, ორივეს მონად გაიხდის. ქართველებს სხვისი არა უნდათ, არას ედავებიან, თავისას კი არავის დაუთმობენ.

სომხებს თფილისი სწადიან ჩაიგდონ ხელში, მაგრამ გაბედავდენ ჩვენთან ომს, რუსების იმედი რომ არ ქონდეთ? ამ ხალხმა, ველური გრძნობით აღვსილმა, მეგობრობა მეზობლობა არ იცის. თავის ცხოვრებაში რუსებს მეგობარი ერი არ ყოლია, ყველა ერიდება მათ, არ ენდობა. თვით ფრანგები არ ენდობიან რუსებს. ფრანგები იმდენად არიან დაინტერესებული რუსეთით, რამდენად რუსეთი მისთვის ეკონომიურად სასარგებლოა. რუსის ერი, როგორც ტრიალი მინდვრის ხალხი, მიდის მიეხეტება შორს, ამას მისი ბუნება მოითხოვს, სანამ რაიმე ძალა არ შეაჩერებს. შეაწუხა ხეტიალით ქვეყანა, ხალხი, და ბოლოს რომ აღარ შეჩერდა, დაჰკრეს თავში, და დააძსხვრიეს 1914 წ. ომში. მაგრამ რუსებს რა დააწყნარებს? დარჩეს თავის სახლში, მოუაროს გავერანებულ მამულს; ის მოდის ბოლშევიზმის სახელით, უნდა წალეკოს საქართველო. ისევ მონად გაგვხადოს, თუ არ დაპყრობა, ვინ თხოვს, ვინ იწვევს მათ საქართველოში. რუსეთი მტერია საქართველოსი, თავიდანვე მის დაპყრობას ცდილობდა; აზერბეიჯანის გამოსვლა ეს ნაძალადევია, რუსების ბრძანებით. გაიძვერა სომხებს უნდათ ჩაიგდონ ხელში თბილის-ბორჩალო. ბევრჯერ უნახავს საქართველოს შემოსეული მტერი, მაგრამ მათი სისხლით მოურწყავს მწვანე მინდვრები, მტკვარს კი დახოცილ დაჭრილი მტრები ჩაუთრევია იქ, საიდანაც მოსულან. ქართველმა ერმა უნდა სამუდამოთ აღაგმოს გაწითლებული სომხები და იქ ერევანში დასცეს ლახვარი და მით სამარადისოდ დაავიწყოს თბილის ბორჩალოს. გონება დაბნეული რუს ბოლშევიკები ვისაც არ შეეჭიდენ, ყველგან თავგაბეზეული დაბრუნდენ.

ქართველი ერი უკვე ცნობს რუსების ვერაგობას და მზად არის არ დაინდოს; არც მოტყუვდება და ასი წლის მათ ხელში ტანჯვა-წამებას ახლა შეანანებს, გულის ჯავრს იყრის.

დღეს საქართველომ მთელი თავის ძალ-ღონე და ყურადღება ომს უნდა მიაპყროს. მტერს საქართველოში დავამარცხებთ, მაგრამ ეს არა კმარა. აზერბეიჯანი უნდა გავანთავისუფლოთ რუსებისგან; უამისოდ რუსებისგან მუდამ საფრთხე მოგველის. აზერბეიჯანი ხელში ყავს რუსებს ჩაგდებული, და როგორც უნდათ ისე ამოქმედებენ. ამ საქმეში — ომში მარტო ჩვენ არ დავრჩებით. დაგვეხმარება საფრანგეთ-ინგლისი. მათი ინტერესები მოითხოვს რუს ბოლშევიკების განდევნას კავკასიიდან, რომ ამით მოიშორონ საფრთხე ბოლშევიზმისა აზიაში. საქართველოს დამოუკიდებლობა მათთვის საჭიროა, უნდა დაიცვან კავკასია, მოსწყვიტონ, დააშორონ რუსეთის გონება დაკარგული ბოლშევიზმი აზიას; შეჰქმნან სიმაგრედ, გახადონ ბუფერად კავკასიის რესპუბლიკები რუსეთის წინააღმდეგ.

ა. კვიტაშვილი.

სამშობლოს დიდებისათვის.

უდიდესი მომენტის წინაშე ვდგავართ.

ისტორიამ ჩვენ დაგვაკისრა დაჩაგრული სამშობლოს გათავისუფლება და მისთვის სისხლის დაღვრა.

უწმინდესი და უმაღლესად საპატიო მოვალეობაა!

მხოლოდ ბედნიერნი თუ იქნებიან ესოდენ მაღალი მოწოდების ღირსნი!

დღეს ქართველი ერი დიდი გამოცდის წინ დგას.

ეს გამოცდა მოგვივლინა ჩვენ გუშინდელმა უკულტურო ნაბატონარმა და ქართველი გლეხის ნაოფლარით გამდიდრებულმა ჩარჩმა.

ეგონა ვერაგს, რომ შიგნით ამბოხებას მოგვიწყობდა, ჩვენ ერთმანეთს წავესევოდით და დავჭამდით.

მტვრთ ბოროტმა განზრახვამ ბოროტადვე ჩაუარა, ჩვენ შორის კი იფეთქა ისტორიულმა მამა-პაპურმა სულმა და დღეს საქართველოში აღარაა

არც სოციალ-დემოკრატობა,

არც ეროვნულ-დემოკრატობა,

არც სოც. ფედერალისტობა და ესერობა, არამედ—ქართველი შეომარი, სამშობლოს დიდებისათვის ფოლადასხმული და გამეხებული!..

მესაკუთრე გლეხი და ღლიური მუშა, ყოფილი თავადი და მოქალაქე, დიდი კომერსანტი, გინდ პატარა „ბღდაში“ მოვაჭრე, მასწავლებელი და მოსწავლე, მოხუცი და ახალგაზდა და ერთობ ქალი და კაცი დღეს საქართველოში ერთი დროშის ქვეშ დგას, რომელ დროშაზედაც ამოქარგულია:

დაცვა სამშობლოისა.

ისტორიულად კულტურული ქართველი ერი დღეს გაერთიანდა, ერისა და სამშობლოის უდიდეს შეგნებამ ამაღლდა და

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართველო ხელი ხმალს ის!

ეროვნული ბიბლიოთეკა

გთხოვთ გაზეთ „ეროვნულ-დემოკრატის“ ხელის მომწერლებს დაჩქარებით შემოიტანონ გაზეთ „ერის“ რედაქციის კანტორის გამგეთან გაზეთის ფასი.

მაზედ ვერაგულად თავდასხმა. მას ბევრი მტრები შესევია და მისი გასრესა მოუნდომებია. ასეთი განხრახვა ყოველთვის მტრების განაგდურებით გათავებულა. ისინი გამქრალან სამუდამოდ, ხოლო საქართველო დარჩენილა. ასეთია ძველი, ერის ცხოვრებაში ჩაქოვილი ტრადიცია, ასეთივეა მისი მოკლე, მაგრამ რაინდული ისტორია. დემოკრატიის სრული გამარჯვების და ახალი, სამი წლის ისტორიის განმავლობაში. ერევნის მთავრობა დენიკინთან შეთანხმებული ებრძოდა ჩვენს რესპუბლიკას, ეს ბრძოლა მისთვის სამარცხვინოდ გათავდა. შემდეგ დენიკინი კავკასიის ტერიტორიაზედ მოკალათებულ მოლალატე ჯგუფებთან ერთად ცდილობდა მის დამხობას. საქართველო დარჩა, როგორც სალი კლდე გამარჯვებული და ყველას მიერ ცნობილი; დენიკინის ავანტიურა ისტორიის შავი ფურცლებში აღიბეჭდა. ბაქოც შეეცადა თფილისის დაპყრობას, ეს თავხედი ნაბიჯი მისთვის სამარცხვინოდ გათავდა.

რაშია საქართველოს ძლიერება? მის ერთსულოვნობაში. მოღალატეები ყველა ქვეყნებში გამოჩნდება, მაგრამ შეიძლება ითქვას რომ არ არის დედა-მიწის ზურგზედ ერი, რომელიც ასეთი ერთსულოვნობით და ასეთი შეგნებით იცავდეს თავის არსებობას. რესპუბლიკის საზღვრების დაცვის საქმეში არ არსებობს პარტია, ჯგუფი, წრე. ყველა შეერთებულია და ამ ერთობას საფუძვლად უდევს ჩვენი დემოკრატიის მტკიცე და შეურყეველი გადაწყვეტილება მის მიერ შექმნილ და მისი უდიდესი შრომით აგებულ სახელმწიფოს დაცვაზედ. რესპუბლიკის დანგრევით ისპობა ერის კულტურული განვითარების პირობა, ნიადაგი ეცვლება დემოკრატიის იდეალების გამარჯვების უზრუნველყოფას. უცხო ურდოების შემოსევით ნადგურდება მისი ავლადიდება—საძირკველი საუკეთესო მომავლის აშენების. ეს სავსებით შესისხლხორცებული აქვს ჩვენს დემოკრატიას—მთელს ერს და ამისთვის ის ყოველთვის უძლეველი იყო.

დღესაც, როდესაც ყოველივე ადამიანობას მოკლებული მეზობლები მის განადგურებას ლამობენ, რესპუბლიკის მოქალაქე დამშვიდებით და სრული შეგნებით დახვდება ახალ გასაჭირს. მისი წარსული მოქმედება თავდებია მომავალი გამარჯვების.

ერევანი, ბაქოს დახმარებით, იმეორებს ისტორიას. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ეს არ იქნება სრული განმეორება. დღეს ისინი ვერ ნახავენ თფილისში, როგორც ეს მოხდა ორი წლის წინათ, იმ უცხოელებს, რომელნიც ხელს შეუშლიან რესპუბლიკას, რომ შესაფერი და სამოლოო პასუხი გასცეს თავზედ და ნამუსზედ ხელ აღებულ მტერს. საქართველოს ერი, ერთსულოვანი და ბრძოლაში გაკაჟებული, გასცემს მტერს შესაფერ პასუხს.

გ მარჯვეგისათვის.

ქართველი ერის ბედის წიგნში მოსვენება არ სწერია.

რამოდენიმე კვირის წინ მთელმა საქართველომ ზეიმით აღნიშნა თავის სრული განთავისუფლება და კულტურულ ერებთან უფლებრივათ გათანასწორება.

ყოველი ქართველი შეხაროდა თავის საშშობლოს თავისუფლების მზის ბრწყინვალებას.

ყველას აღაფრთოვანებდა ის იმედი, რომ მრავალი ტანჯვისა და გაჭირვების შემდეგ მოგვ ცემოდა საშვალება მშვიდობიანი კულტურული განვითარებისა.

მაგრამ ისინი ვინც მუდამ მტერი იყვენ ჩვენი თავისუფლებისა, ისინი ვისაც შურს ჩვენი ბედნიერება, დღეს კვლავ აზეღრდნენ ჩვენ წინააღმდეგ. მაგრამ თუ აქამდის ისინი ცალცალკე გვეომებოდენ, დღეს კი ყველანი ერთათ გაერთიანებულნი და ერთ წითელ ქურქში გახვეულნი შეერთებული ძალით ლამობენ ჩვენს განადგურებას.

ვერაგ სომხეთს ბარბაროს რუსეთის წინამძღოლობით სურს იმ მიზნის განხორციელება, რაც მან ვერ განახორციელა ცალკე. მათ სურთ მოგვისპონ დამოუკიდებლობა და გაამეფონ ჩვენში ანარქია და საშინელი არეულობა.

მაგრამ როგორც წინათ დღესაც ქართველი ერი დაუმტკიცებს მათ, რომ ის არ დათმობს თავისუფლებას სანამ სულ არ გაწყდება.

ჩვენი მხნე ჯარი და გვარდია კიდევ ერთხელ დაუმტკიცებს მთელ ქვეყანას, რომ მასში ცოცხალია ტრადიციული მამაპაპური მხნეობა და სამშობლოსათვის თავგანწირვა.

მტერი ამ ომშიაც დამარცხებული იქნება, მაგრამ ქართველი ერის რისხვამ სამუდამო დაღი უნდა დაჩინოს მათ.

უნდა სამუდამოთ მოუსპოთ მათ სურვილი და შეძლება ჩვენთან ომიანობისა.

ამისათვის საჭიროა რომ ყველამ ერთსულოვნათ დაუხვთეთ მტერს და ყველამ რითაც კი შეგვიძლია შეუწყოთ ხელი მის დამარცხებას და ჩვენს გამარჯვებას, აღვიგზნეთ ყველამ სრული შეგნებით ჩვენის მოვალეობისა და გამარჯვებაც ჩვენ დაგვრჩება.

ნიკო ბულეიშვილი.

ერთი მაგალითი ქალაქის გამგეობის მეურნეობისა.

ყოფილმა ქუთაისის ქალაქის მოურავმა ბ. თოფურიძემ თავის სადეკლარაციო მოხსენებაში მიაქცია ყურადღება იმას, რომ ქალაქს არ ჰქონდა თავისი საეკონომიო მაღაზია და შემდეგ მოლაპარაკებისა შეერთებულ სხდომაზე გამგეობისა და საფინანსო კომისიასთან 12 ოკტომბერს წარსული წლისა დაარსა ქუთაისში ამ გვარი საეკონომიო. მას სურდა ამით მცხოვრებლებისათვის მიეცა საშვალება შედარებით იაფ-ფასებში შეეძინა საჭირო და მიუცილებელი საგნები. მე პირადათ შესახებ ამ საეკონომიოს უკვე გაზეთ „გრუზია“-ში ჩემი აზრი გამოვსთქვი და პრინციპიალურის მხრით აღარ შევეხები ამ საკითხს. უნდა აღვნიშნო აქ მხოლოდ ის, თუ რა ბედი ეწვია ამ მაღაზიას, როდესაც ის ჩავარდა ქალაქის გამგეობის ხელში. მაღაზიის მოსაწყობად ქალაქის საალაროდან იყო ერთი მილიონი მანეთი გადადებული და თან ქალაქის საწყობებიდგან მას ქონდა მიცემული 4—5 მილიონი მანეთის საქონელი, სახელდობრ: შაქარი, ბრინჯი, საპონი, კალოშები, წუმწუმა, ჩაი და სხვადასხვა საჭირო საგნები. ყველა ეს უნდა გაყიდულიყო დაკლებულ ფასებში. მაგალითად: ფხვნილი შაქარი იყიდებოდა გირვანქა 350 მანეთად, როდესაც ბაზარში იყო მისი ფასი 500—600 მანეთი და ასე ყოველივე ის რაც ქალაქმა შეიძინა და დააწყო ამ მაღაზიაში. ამან, რასაკვირველია, იქონია გავლენა ბაზარზე და „რეგულიატორათ“ გახდა. ბ. თოფურიძემ მოსძებნა სანდო პრები და ჩააყენა მაღაზიაში.

ყოველივე ამას აწარმოებდენ, სანამ ბ. თოფურიძე იყო ქალაქის თავათ და როგორც კი ის წავიდა, მაშინვე მაღაზიის წარმოებას და მის მწარმოებლებს ეჭვის თვალით შეხედეს, რამაც გამოიწვია უკანასკნელთა გულისწყრომა და იქ მუშაობის თავის დანებება. ეს მეორე თვეა, რაც მაღაზია დაკეტილია და საბჭოს დღესაც არ მოხსენებია სრული ანგარიში ნაწარმოებისა, თუმცა ეს საეკონომიო დიდი სასარგებლო გამოდგა ქალაქის ცარიელი სალაროსათვის. ნამდვილად ვიცოდ, რომ ამ მაღაზიაქ ქალაქს მისცა წმინდა მოგება ორი თვის განმავლობაში მილიონ ნახევარი მანეთი.

ქალაქის საბჭომ დაავალა გამგეობას სულ მოკლე ხანში ჩაებარებია მაღაზია მწარმოებლებისაგან და გაანეგრძო ვაჭრობა, როგორც დიდი შემოსავლიანი დაწესებულებისა. აქამდის არა ეშველა ამ ანგარიშის გათავებას, საქონელი გაჩერებულია.

ამ რიგად ამ გაჩაღებულ საქმეს, რაღაც მიზეზების გამო, უცბათ მოუღეს ბოლო და არ შეხედეს მასაც, რომ სალარო ცარიელი აქვთ და კიდევ შუამდგომლობას უგზავნიან მთავრობას სესხის შესახებ.

ხმოსანი **დიმ. ნაზაროვი.**

ტოგანიერის თემი.

თემი შესდგება ათი სოფლიდან. ყველა სოფლებში მოფენილია დაწყებითი სასწავლებლები და კოოპერატივები. სწავლის საქმე წელს ნაადრევ ზამთარმა ცოტათი შეაფერხა, მაგრამ შედარებით სხვა თემებთან გვარიანად მიდის. კოოპერატივები უძლური არიან, მაგრამ წვრილმალი საქონლითაც დიდ დახმარებას უწევენ საზოგადოებას. აი ამ ორ საქმეში დიდი ღვაწლი მიუძღვის ადგილობრივ მთავრობას. თემის ცენტრად შვამთა ითვლება, სადაც ყოველ კვირა დღე იმართება ბაზრობა; თვით ბაზარი გაშენებულია მდინარე ყუმურის პირას. ამ ბაზარში იმ ყოფება ყველა ის დაწესებულება, რაც საჭიროა თემისათვის.

მაგრამ მას აქვს უარყოფითი და თემისათვის დამაბრკოლებელი მხარე: ტობანიერის თემი ზედაპირის აგებულობის მხრივ ორ ნაწილად იყოფა: ჭალად და მთა-გორიან ადგილებად. ჭალა ალაგას მოსავალი კარგი იცის, ხოლო მთა-გორიან ალაგას ნაკლები. ორსავე ადგილას ამ ბოლო ხანებში იკლო მოსავალმა, მაგრამ იმდენი სიმდიდრე მაინც მოდიოდა ტობანიერის თემს, რომ თამამად ყოფნიდა და სხვა თემიდან მოტანა აღარ ჭირდებოდა. დღეს ამას ვერ ვხედავთ.

ამის მიზეზ ის არის, რომ ამ თემში ძალზე გამრავლდენ სპეკულიანტები, რომლებიც დაძრწიან სოფელ-სოფელ, აძლევენ უამრავ საღირალს სიმინდში და აკლიან არა მარტო იმ მოქალაქეს, რომელსაც ზედმეტი სარჩო აქვს, არამედ მასაც კი, რომელსაც სარჩო სიმინდი თავიდან აკლია. დადგება თუ არა ივლისი, თემს სიმინდი აკლია და მთელი სამი თვე შიმშილობას განიცდის. ადგილობრივი მთავრობა ამას არავითარ ყურადღებას არ აქცევს, საჭიროა აქაურ შეგნებულმა პირებმა და ადგილობრივ მთავრობამაც ამ საქმეს დროზე მიაქციოს ყურადღება.

ს. ყ.

ოსმალო კომუნისტები.

„ნეზავისიმი გორეც“-ში მოთავსებულია კორესპონდენცია ტრაპიზონიდან, რომელიც ეხება ოსმალო კომუნისტების, ცნობილ მუსტაფა-სუბხის და სხვების, რიცხვით 11 კაცის მოგზაურობას ბაქოდან ტრაპიზონამდე. გაზეთი სწერს:

ყარსის შემდეგ მათ ხალხი არ შეხვდა კარგათ. ამას კი ისინი არ მოელოდენ. საქმეს ვერ უშველა ვერც კომუნისტურმა თეორიამ, ვერც მუსტაფა სუბხას და სხვების მჭერმეტყველობამ, გლეხები არ უჯერებდენ და ყურადაც არ იღებდენ მათ მოწოდებას. გლეხები მრავლად გამოდიოდენ მათ შესახვედრათ და სტვენა გინებით აცილებდენ. არც სანოვაგეს აძლევდენ. დიდის წვალებით მიეიდენ ისინი არზრუმამდე, მაგრამ არზრუმში უფრო ცუდათ შეეგებნენ მათ. მცხოვრებლებმა ისინი ქალაქშიც კი არ შეუშვეს, ამიტომ იძულებულნი იყვნენ ქალაქ გარეთ გაეტარებინათ ღამე.

მიტინგებს, რომლებზედაც მუსტაფა სუბხაი და მისი ამხანაგები მოუწოდებდენ ოსმალეთის ხალხს მუშაგლეხთა დიქტატურის გზაზე დადგომას, გამოჰქონდა მათი საწინააღმდეგო პროტესტები და მოითხოვდენ მათ სამშობლო ტერიტორიიდან გასვლას. კომუნისტები მაინც გაემგზავრენ ტრაპიზონისაკენ; როდესაც იქ გაიგეს, რომ 28 იანვარს მუსტაფა-სუბხი უნდა ჩამოვიდესო, მაშინვე დაიკეტა ყველა მაღაზიები და აუარება ხალხი გაემართა მათ დასახვედრათ. კომუნისტები შეეცადნენ ელაპარაკნათ, მაგრამ მათ არც ერთი სიტყვა არ ათქმევინეს, ხალხი აღელვებული უყვიროდა—„მოღალატეებო“, „გამცემლებო“. მილიციამ როგორც იყო, მოახერხა დაშოშმანება. აქ კი დარწმუნდა მუსტაფა-სუბხი, რომ ანატოლიაში მგზავრობა ამის შემდეგ უნაყოფოც იქნებოდა და ალბათ უშიშარი მათთვის, და ამიტომ სამსუნში წასვლის ნაცვლად ისინი იძულებულნი გახდნენ ტუაპსე ნოვოროსიისკენ წასულიყვნენ.

ხალხი წასვლისას მათ უყვიროდა: „ადით იქ, სადაც თქვენ შეგიძლიანთ დაუსჯელათ გაყიდოთ და დახოცოთ ხალხი“.

მუსტაფა სუბხი, გზაზეთის გადმოცემით, იბრძოდა ოსმალეთის ჯარში კავკასიის ფრონტზე 1915 წელს ის ტყვეთ ჩაუვარდა რუსებს. აქედან ის გაიქცა სტამბოლში, აქ მას აფიცრობა მისცეს და კვლავ გაგზავნეს კავკასიის ფრონტზე.

1918 წელს ის ნური-ფაშასთან ერთად წავიდა ადერბეიჯანში,—მაშინ ის ბალშევიკების შეურიგებელი მტერი იყო და, როგორც ამბობენ მისი მახლობლები, სთხოვდა კიდეც თავის უფროსებს, რომ მისთვის ნება მიეცათ დაეხიცა ბალშევიკები. ბაქოდან ის გაგზავნილი იყო ოსმალეთის კონსულად რეშტში. ოსმალეთის ჯარების კავკასიიდან წასვლის შემდეგ ის რეშტში ჩარჩა და შემდეგ გაექცა იქიდან ინგლისელებს ადერბეიჯანში. ადერბეიჯანის „განათლებაში“ ის მხურვალე მონაწილეობას იღებდა.

ის პირნი, ვინც მას იცნობენ, ამბობენ, რომ სუბხი მხოლოდ თამაშობს „კომუნისტის“ როლს, რომ მისი მეგობრობა კომუნისტებთან მხოლოდ დროებითი ხასიათისაა, რომ მას არ შეუძლია ჰქონდეს რაიმე მტკიცე შეხედულებანი და რომ იგი უფრო ავანტიურისტიაო.

სათბობი მასალა.

მოსკოვი. 13. 11. მთავარი ყურადღება ჩვენ შეშის დამზადებას უნდა მივაქციოთ. საჭიროა 11 მილიონი კუბ. საჟენის შეშის დამზადება. განსაკუთრებულ მძიმე მდგომარეობაში იმყოფება—პეტროგრადი, სადაც მთავარი სამრეწველო დაწესებულებები სათბობ მასალის უქონლობის გამო შეჩერდენ. ეს დროული მოვლენა, არის მიღებულია სათანადო ზომები. რომლებიც მოგვცემენ საშუალებას მეშაობის დაწყების შესაძლებლობის, დიდ დახმარებას გაგვიწევს ნავთი, რომელიც საკმაოთ არის მომარაგებული. ნაოსნობის დაწყებისას მთელი ფლოტი ნავთის გადმოტანას მოხმარდება აპრილში შესაძლებელი გახდება წყლით იმდენი ნავთის მოტანა, რომელიც გააადვილებს რკინის გზის მოძრაობას. ამის გამო კავკასიაში იგზავნება საგანგებო რწმუნებული, რომელმაც უნდა ადევნოს თვალყური იმ ორგანოთა მოქმედებას, რომლებიც განაგებენ ნავთის პროდუქტების ჩრდილოეთ კავკმსიიდან რუსეთში გადმოზიდვას,

მთავარი რედაქტორი **კ. კაპანელი.**
სარედაქციო კოლეგია

ექიმი
ი. ბ. მეგურიშვილი
ვენერიული, შინაგანი და საშარდო ორგანოთა სნეულებანი. (შეშხაპუნება 606 და 914) ავადმყ. მიღება საღამ. 5—8 საათამდი.
ჭავჭავაძის (გეგუთის) ქუჩა № 8. ქალაქის მეორე აფთიაქის ახლოს
თვ.

ქუთაისი, პუშკინის ქუჩა. საურთიერთო ნდობის საზოგადოების შენობა. სტამბა იოსებ ხელაძისა.